პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის III შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები სიმენსების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის III შესახვევს და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ძმები სიმენსების ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ფაბრიკის შესახვევი
ვახტანგ გორგასლის ქუჩა
01.00.121
01.00.324
01.18.04.002.003
01.18.04.002.004
01.18.04.002.00
01.18.04.003.005
01.18.04.003.002
01.18.04.001.040
ფირდოუსის ჩიხი
ფირდოუსის ქუჩა
01.18.04.015.043
01.18.04.015.014
01.18.04.015.004
01.18.04.015.035
01.18.04.015.029
01.18.04.015.011
01.18.04.015.005
01.18.04.015.022
01.18.04.015.023
01.18.04.015.051
01.18.04.015.050
01.18.04.015.033
01.18.04.015.079
01.18.04.015.026
01.18.04.015.015
01.18.04.015.078
01.18.04.015.061
01.18.04.015.028
01.18.04.016.025
01.18.04.016.061
01.18.04.017.034
01.18.04.017.006
01.18.04.017.025
01.18.04.018.006
ფაბრიკის შესახვევი
იოსებ გრიშაშვილის ქუჩა
01.00.039
NAPR
1 : 987
გეოგრაფიული (გრძედი,გან

ადრესატი:

გიორგი ტყემალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**03-032033546**
თარიღი: **30/11/2020**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ასლი: თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს,

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ვალტერ, კარლ, ვერნერ, ოტო და უილიამ სიმენსების წვლილი საქართველოს ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური განვითარებისა და ეკონომიკის გაძლიერების საქმეში ძალიან დიდია. მათმა მოღვაწეობამ ასევე გააღრმავა XIX საუკუნეში გერმანულ-ქართული ურთიერთობები.

სატელეგრაფო ხაზები, ნავთობსადენები, თბილისის ქუჩებისა და ტროტუარების ასფალტით დაფარვა, ინდუსტრიული პროგრესი – ეს საქმეთა არასრული ჩამონათვალია. მათ გეგმებში საქართველო ტრანზიტული ქვეყნის როლს ასრულებდა. სწორედ ძმები სიმენსების პროგრესული ხედვით მოხერხდა ბუნებრივი რესურსების ათვისება, ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციალის ამაღლება, ფოთისა და ბათუმის პორტების სტრატეგიული მნიშვნელობის განსაზღვრება და ამ უნიკალური შესაძლებლობის წარმატებით გამოყენება ექსპორტის საწარმოებლად.

აღსანიშნავია, რომ ვალტერ და ოტო სიმენსები დედაქალაქში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ, თბილისური საზოგადოების პატივცემული და ძვირფასი წევრები გახდნენ და აქვე აღესრულენ. საარქივო წყაროებში მათ „სოლოლაკელ ძმებადაც“ მოიხსენებდნენ.

მოგმართავთ ძმები სიმენსების ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საკითხებში შეტანილი წვლილის დასაფასებლად თბილისში არსებულ ერთ-ერთ გეოგრაფიულ ობიექტს (თბილისის ცენტრალურ ადგილას) „ძმები სიმენსების“ სახელის მინიჭების თხოვნით. ეს ნაბიჯი ამავდროულად, საერთაშორისო

(გერმანულ-ქართული) ურთიერთობების განმტკიცების თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

პატივისცემით,

თამარ ტალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-განათლებისა და კულტურის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი: **03-0323020149**
თარიღი: **20/01/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი თამარ ტალიაშვილის 2020 წლის 30 ნოემბრის საქმე #03-032033546 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს დედაქალაქში ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის ძმები სიმენსების სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ვახტანგ გორგასლის III შესახვევის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ძმები სიმენსები

14 შვილიანი ოჯახიდან საქართველოს ინდუსტრიული პოტენციალის ამაღლებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების მხრივ, ვერნერის ძმებს: **ვალტერსა და ოტო სიმენსებს** მიუძღვით განსაკუთრებული წვლილი.

ვალტერ სიმენსი

(1833-1868)

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ გადაწყვიტა, რომ სატელეგრაფო ხაზი მასაც სჭირდებოდა, ვერნერ ფონ სიმენსისა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის, ქართველი პოეტისა და კავკასიის ჯარების სარდალ გრიგოლ ორბელიანის მოლაპარაკებების შედეგად, გაიყვანეს პირველი სატელეგრაფო ხაზი თბილისსა და კოჯორს შორის, 1858 წელს. 2 წლის შემდეგ კი, აუცილებლობის გამო, თბილისი-ფოთის სატელეგრაფო ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით, თბილისში გაიხსნა „სიმენსი და ჰალსკეს“ წარმომადგენლობა, სადაც ვერნერმა ყველაზე საყვარელი ძმა, ვალტერი გამოგზავნა ხელმძღვანელად. ამავე წლის 5 ოქტომბერს, ფოთიდან თბილისში გადაიცა პირველი დეპეშები, ასევე, თბილისს, ბორჯომსა და გორს შორის. 1862 წელს, გრიგოლ ორბელიანის ნებართვით, ვალტერ სიმენსთან ერთად, თბილისსა და სტავროპოლს შორის, ტელეგრაფის ხაზის მშენებლობაზე დაიდო კონტრაქტი, რომლის

მიხედვითაც, ეს ხაზი გაივლიდა ვლადიკავკაზზე, ნალჩიკსა და პიატიგორსკზე. ამგვარად, თბილისში, ოპერატიულად მიიღებდნენ ყველა მნიშვნელოვან ახალ ამბავს საზღვარგარეთიდან. ამ პერიოდში, „კავკასიის ტელეგრაფის მამად“ წოდებული ვალტერ სიმენსი, 8 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში, სოლოლაკში, კავკასიის ცენტრში.

1868 წელს, 35 წლის ასაკში, საზეიმო ვახშამზე მიმავალ ვალტერ სიმენსს ცხენმა სასიკვდილო ტრავმა მიაყენა და ტრაგიკულად დაიღუპა. ქართველმა ხალხმა მის მიმართ დიდი სიყვარულის გამო, დამსახურებულად დაიტირა.

ოტო სიმენსი

(1836-1871)

ვალტერ სიმენსის გარდაცვალების შემდეგ, „სიმენსი და ჰალსკეს“ წარმომადგენელი კავკასიაში გახდა მისი ძმა, რომელიც, ასევე, სოლოლაკში დასახლდა. 1870 წლის 17 მაისს თბილისში, ანეტე ფონ კრემერზე იქორწინა და ქართველ მეცენატებსა და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, ქველმოქმედებასაც მიჰყო ხელი. ოტოს ხელმძღვანელობის დროს გაიარა თბილისზე ინდოევროპულმა სატელეგრაფო ხაზმა.

თბილისის კომუნიკაცია რუსეთის იმპერიის საზღვრებს გაცდა და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქალაქის სტატუსით, თითქმის მთელს მსოფლიოს დაუკავშირდა. მისი ეს ფუნქცია კი ინდოევროპული სატელეგრაფო ხაზის მშენებლობას უკავშირდება. ტელეგრაფის ხაზი, რომლის სიგრძეც 11 000 კილომეტრია, გადიოდა მარშრუტით: ლონდონი-ბერლინი-ვარშავა-ოდესა-ქერჩი-თბილისი-თეირანი-ყარაჩი-კალკუტა.
ინდოევროპული სატელეგრაფო ხაზის გაყვანა კომპანია „სიმენსი და ჰალსკეს“ ინგლისის მთავრობამ დაუკვეთა იმ მიზნით, რომ უდიდეს კოლონია ინდოეთთან კომუნიკაცია სწრაფად დაემყარებინა. საქართველოს ტერიტორიაზე სატელეგრაფო ხაზმა სოხუმზე, ზუგდიდზე, ქუთაისზე, გორსა და თბილისზე გაიარა. პირველი სახმელეთო ტრანსკონტინენტური ტელეგრაფი 1870 წლის იანვარში გაიხსნა და 60 წლის განმავლობაში, 1870-დან 1931 წლამდე, თბილისი საერთაშორისო კავშირის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა.

კავკასიაში ფირმა „სიმენსის“ საქმეებში კარლი და ასევე, უილიამ სიმენსიც აქტიურად მონაწილეობდნენ. უილიამმა, ლონდონიდან სოხუმში ინდოევროპული ტელეგრაფისთვის სპეციალური კაბელი ჩამოიტანა, რომელიც შავი ზღვის ფსკერზე გაიყვანეს. გარდა ამისა, მან ლონდონში დაამზადა, ასევე, მიწისქვეშა კაბელი სატელეგრაფო ხაზისთვის მოსკოვი-თბილისი. ეს ხაზი ხშირად ზიანდებოდა კობი-გუდაურის მონაკვეთზე თოვლის ზვავების გამო. ამიტომ, 1879 წელს, ამ მონაკვეთზე სატელეგრაფო ხაზი მიწისქვეშ გაიყვანეს.

პირველი ტრამვაი, რომელიც 1904 წლიდან კონკის ნაცვლად, ახალ ტრანსპორტად იქცა და თბილისის ქუჩებში საუკუნესა და 2 წელიწადს იარსება, ასევე ლიფტი და ასფალტის შემოტანა ძმებ სიმენსებს, უფრო კონკრეტულად, ოტო სიმენსის სახელს უკავშირდება. ოტო სიმენსი ჩაბმული იყო კახეთში ნავთობის მოპოვების საქმეში, შეიმუშავა სხვადასხვა წინადადება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან ასფალტის მიღება-გამოყენების, თბილისის წყლით მომარაგებისა და ქუჩების განათების შესახებ. სწორედ მან მოიფიქრა ნავთობის ნარჩენებისგან ბუნებრივი ასფალტის გამოყვანა.

ჭაბურღილების ბურღვის მეთოდის ავტორიც ოტო სიმენსია, რომელმაც მანამდე არსებული რუტინული ხერხი შეცვალა, როდესაც ნავთობის მოსაპოვებლად ჭებს თხრიდნენ. წარმატებით უხელმძღვანელა დალიარ-კელბეკის ნავთობსადენის პროექტს, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა მსოფლიოში ყველაზე გრძელი ნავთობსადენის აშენება ბაქოდან ბათუმამდე.

ვალტერის მსგავსად, ოტოც 35 წლის ასაკში, სავარაუდოდ, ქოლერას მიზეზით გარდაიცვალა. „სოლოლაკელი ძმები“ ვალტერ და ოტო სიმენსები, ერთ-ერთი

ვერსიით, ვერის ბაღში დაასაფლავეს, თუმცა, ამჟამად, უცნობია, მათი საფლავების ადგილმდებარეობა.